

საქართველოს ახალი ჩემპიონი

ეროვნული გიგანტი



დასთავაზდა საქართველოს 1988 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში; გულშემატკივართა ვნებათაღელვაც, თითქოს, დაცხრა. გამოვლინდნენ საუკეთესო გუნდებიც და აუტსაიდერებიც, განვლილი საინტერესო შეჯიბრება საფუძვლიან ანალოზს საჭიროებს.

ზობის „კოლხეთს“ წლივანდელ საფეხბურთო სეზონში თავიდანვე ლიდერის პოზიცია ეკავა — ვანის „სულთრის“ და ზუგდიდის „დინამოსთან“ ერთად იგი პირველი ადგილის რეალური პრეტენდენტი იყო. სეზონის მიწურულს ხობელთა ეს პოზიცია კიდევ უფრო მკვირთრად გამოიკვეთა, გუნდმა შეძლო უმთავრესი კონკურენტების დამარცხება და ჩემპიონატის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე ფაქტურად გაინაღდა კიდევ პირველი ადგილი.

ხობელ ფეხბურთელებს უკვე ორი წელია სრულიად დასაბუთებულად, საფუძვლიანი პრეტენზია აქვთ ჩემპიონის წოდებაზე, შარშან ისინი მხოლოდ მახარაძის „მერცხალს“ ჩამორჩნენ, ისიც მინიმალური განსხვავებით, წლეულს კი უფრო იოლად გადაწყვიტეს თავიანთი მთავარი ამოცანა. გუნდმა 42 თამაშისაგან 65 ქულა დააგროვა, წაგო მხოლოდ 5 მატჩი და მოიგო 28 ბურთის შეფარდებაც საუკეთესოა — 100:53.

ბოლო ტურის მატჩი „კოლხეთს“ შინ ჩაატარა ვანის რაიონის „ქართლთან“. მასპინძლებმა ეს შეხვედრაც დამაჯერებელი ანგარიშით მოიგეს — 3:1 და უკვე ოფიციალურად გაინაღდეს საქართველოს ჩემპიონობა. ფეხბურთელებმა და გუნდის ხელმძღვანელებმა დაიმსახურეს საქართველოს სპორტსახელმძღვანელთა კომიტეტის მიერ დაჯილდოვება და პირველი ხარისხის დიპლომები.

ზობის „კოლხეთს“ კარგად მომზადებული ფეხბურთელები ჰყავს, რომლებმაც მთელი სეზონი ჩინებულად ჩაატარეს. გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა თავდამხმელი ელგუჯა ქომეთიანი. მას 41 ბურთი აქვს გატანილი და ქომეთიანი — 3:1 და უკვე ოფიციალურად გაინაღდეს საქართველოს ჩემპიონობა. ფეხბურთელებმა და გუნდის ხელმძღვანელებმა დაიმსახურეს საქართველოს სპორტსახელმძღვანელთა კომიტეტის მიერ დაჯილდოვება და პირველი ხარისხის დიპლომები.

ზობის „კოლხეთს“ კარგად მომზადებული ფეხბურთელები ჰყავს, რომლებმაც მთელი სეზონი ჩინებულად ჩაატარეს. გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა თავდამხმელი ელგუჯა ქომეთიანი. მას 41 ბურთი აქვს გატანილი და ქომეთიანი — 3:1 და უკვე ოფიციალურად გაინაღდეს საქართველოს ჩემპიონობა. ფეხბურთელებმა და გუნდის ხელმძღვანელებმა დაიმსახურეს საქართველოს სპორტსახელმძღვანელთა კომიტეტის მიერ დაჯილდოვება და პირველი ხარისხის დიპლომები.

ნ. მ. 3 33.

სურათზე: საქართველოს 1988 წლის ჩემპიონი ზობის „კოლხეთი“.

პროკატორი ვალა ქვენიას, ვეპროდითი!

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29

დაქვეყნდა, ხუთშაბათი, 1988 წ. № 249 (9916) © შპსი 3 აბა.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი

დასახმარებლად ინსტრუქციის

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მზადაა ქმედითი დახმარება გაუწიოს დახმარებულთა და სსრ კავშირის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად შემდეგ ზომებს მიმართოს:

1. შექმნას სპორტულ-საწვრთნელი ცენტრი დახმარებულ რაიონებში.
2. სპორტული მოწყობილობა შესთავაზოს მოსახლეობას.
3. ანაზღაუროს ყველა საჭირო ხარჯი სპორტის ობიექტების სპორტით მეცადინეობით უზრუნველყოფისთვის.

ხუან ანტონიო სამარანი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

დასახმარებლად

გრაფიკული

თბილისის განმრთელობის დაცვის ფიზკულტურული დისპანსერის დირექტორმა თ. ვირბოვამ გაცნობა: დისპანსერის მუშაობაში გადაწყვიტეს ორი დღის ხელფაზა გადარიცხონ მიწისძვრისგან დაზარალებული სომეხი მოსახლეობის დახმარების ფონდში. ამასთან, დისპანსერმა რამდენიმე დღის წინ სასწრაფო დახმარების მანქანა გაგზავნა ლენინაქანში.

მომხმ სომხეთის მოსახლეობის დახმარების ფონდში ორი დღის ხელფაზა გადარიცხეს აგრეთვე მძღვოსნობაში უმადლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის თანამშრომლებმა. გარდა ამისა, გაკვირვებაში ჩაყარდნენ მოქმედი ხალხს მათ გაუგებრეს სპორტული ტანსაცმელი.

ინსტრუქციის

ინსტრუქციის

გამარჯვებით დაასრულა ბრწყინვალედ ჩატარებული სპორტული სეზონი ქართველმა სნაიპერმა ნინო სალუქვაძემ. სეზონის ოლიმპიადის ტრიუმფატორმა კიდევ ერთი წარმატებით გაგზავნა: იგი უძლიერესი იყო ლენინგრადში გამართულ საქავერო თასის გათამაშებაში. ნინომ 384 ქულით პირველი ადგილი დაიკავა პნეუმატური იარაღით სროლაში (პპ-2), რომელიც ახალი წესებით (შემცირებულ სამიზნეებზე) ჩატარდა, ხლო „ძველი“ ვარჯიში ვერცხლის მედალი მოიპოვა — 386 ქულა.

თათბირი სრულყოფის საკითხებზე

ქიულოში სტუდენტთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში, თბილისში, საქართველოს პროფკავშირთა სპორტულ საზოგადოებაში გაიმართა ამ სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური და საქავერო საბჭოების პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირი, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ბ. როგაძინი. თათბირზე განიხილეს პროფკავშირებში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისა და ამ მიმართებით საქმიანობის შემდგომი სრულყოფის საკითხები. ბ. როგაძინმა უპასუხა თათბირის მონაწილეთა შეკითხვებზე.

სოხუმილი


გამარჯვებული

შორის

საქართველოს

სპორტსახელმძღვანელთა კომიტეტის ხელმძღვანელების სპორტსმენებთან ტრადიციულ შეხვედრაზე ამჯერად მოქმედრად იყო ერთი გვფი იყო მიწვეული. სპორტსმენებს მიულოცეს წლებადელი წარმატებები, როგორც ცნობილია, წელს საერთაშორისო დიდოსტატის წოდებები მიენიჭათ ელიზბარ უბილაძეს და ზურაბ აზმაიფარაშვილს, სსრ კავშირის ჩემპიონატის უმადლეს ლიგაში გამოსვლის უფლება მოიპოვა გია გიორგაძემ, საერთაშორისო დიდოსტატის პირველი ბანო შეასრულა ლაშა ჯანჯღავამ. ამდენი გამარჯვება ერთ სეზონში მართლაც არასდროს მოუპოვებიათ ქართველ მოჭადრაკე იყავებს.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა, აგრეთვე, იმ საკითხებზე, რაც მომავალში ხელს შეუწყობს ამ მოჭადრაკეების შემდგომ დიდოსტატებას.



260 თავისუფალი სტილის მოჭიდავე მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ ტურნირში, რომელიც სამხრის საბჭოთა კავშირის გმირის ა. პოკრიშკინის სლოგანს მიეძღვნა. წარმატებით გამოვიდნენ სოხუმელი ფალაგენი ბ. ქარდავა და ხ. გოგინაშვილი, რომლებიც უძლიერესნი იყვნენ თავიანთ წონით კატეგორიებში.

ალსანიშნავია, რომ ყველა სხვა წონაში გაიმარჯვეს ასპარეზობის მასპინძლებმა — მოსკოველმა მოჭიდავეებმა. ესენი არიან ს. ოორი-ქოკი, ე. სიდოროვი, მ. ჯემალოვი, ა. პროხოროვი, ვ. რომანოვი, ვ. ფორფილიევი, ი. დიანკინი და ვ. მალიშვილი. შეჯიბრება არმიის სპორტული კლუბის ძალისხმევით სსსრ-ს ხელში გაიმართა.

წოდების მიწოდება

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საქავერო კატეგორიის მსახურს წოდება მიანიჭა:

კრივში — ვახტანგ ჭეგელიაშვილს (თბილისი, პროფკავშირები).
ძალისხმობაში — ბადრი ჭიტაძეს (თბილისი, პროფკავშირები).

პასუხსაგები

სტარტის წიგ

ქუთაისში დამთავრდა საქართველოს პირადი პირველობა კრივში ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებსა და უწყებებს შორის. წონითი კატეგორიების მიხედვით უმადლესი წილდები მოიპოვეს ტყებულელმა გია დვალამ (პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება), რუსთაველმა გერმან ზღვლოვამ („სპორტითი რეზერვები“), თბილისელებმა ადვოტ შარვაშიძემ, თენგიზ მესხაძემ (ორივე — არმიის სპორტული კლუბი), კახა აბულაძემ, ნიკოლოზ სუხაშვილმა, თემურ კეკელიძემ, ქუთაისელებმა ემელიანე ქულუხაძემ, დომენტი დანელიამ, აგრეთვე თბილისელმა ჯაბა ცუხაშვილმა (ყველა — პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება).

კახა ნაჭაძე

პირადი გაიმართა თბილისურებით ტრამპლინიდან ხტობაში საქავერო გათამაშების-პირადი ტურნი. ბაკურიანელი სპორტის ოსტატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი კახა წაჭაძე („დინამო“) 90-მეტრიან ტრამპლინიზე ამჯერად მეორე იყო. ერთი საფეხური მოკლე მთის მთაგორიდან დასრული სპორტის ოსტატი, ასევე მომავალი იურისტი ელგუჯა ორჯონიძე („დინამო“). მიუხედავად ერთგვარი წარუმატებლობისა, კახა წაჭაძე მაინც ინარჩუნებს ლიდერობას თასის გათამაშების ხუთი ტურის შემდეგ. ყველაფერს ახლა უკანასკნელი ტური გადაწყვეტს. იგი

ამ დღეებში გაიმართება კრასნოი-არსკში.

პირადი ტრამპლინიზე გამოსვლის წინ ქართველმა ოსტატებმა მონაწილეობა მიიღეს „ურალის თასის“ ტრადიციულ გათამაშებაში ნიჟნი ტაგილში (სვედრლოვსკის ოლქი). ასპარეზობა 70-მეტრიან ტრამპლინიზე ჩატარდა. კახა წაჭაძე აქ მესამე იყო, ელგუჯა ორჯონიძე — მეცხრე. პირველ ადგილზე გავიდა კრასნოიარსკელი არმიელი, სპორტის ოსტატი სერგეი იანუშვიანი. მეორე იყო ლენინგრადელი სპორტის ოსტატი იური გოლოვსკი. იქვე გაიმართა შეჯიბრება 90-მეტრიან ტრამპლინიზე. ამჯერად ი. გოლოვსკი იყავა „სძლია“ ს.

იარუშვილის. შედარებით მოკრძალებულად გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენები: კ. წაჭაძე მეცხრე იყო, ე. ორჯონიძე — ოცდამეერთე.

სანიშნავი სპორტი

ლაბინის ქალაქ სიგულდაში შედგა მოციგავეების შესარჩევი შეჯიბრება ევროპის იუნიორთა პირველობისათვის. კვლავ ტოლი არ ჰყავდა ჩვენი რესპუბლიკის წევრებს — ბაკურიანელებს ლერი თბილისეა და კახა ვახტანგიშვილს. მათ დამაჯერებლად გაიარეს თავიანთი ორადგილიანი ციგით რთული ტრა-

სა და კონტინენტის პირველობის საგზური მოიპოვეს.

•••

სამთ-სათხილავი სპორტი

ახალგაზრდა სამთო მოთხილავურები ციმბირის ქალაქ ბელორეცკში ასპარეზობდნენ. ეს იყო ტრადიციული შეჯიბრება გაზეთ „ბელორეცკი რაბოჩის“ თასზე.

განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ 14 წლის ბაკურიანელი დინამოელები ალექსანდრე ჯანგოზი-ოვი და ლელა ოჯანოვა. სამთოსათხილავო სპორტის სხვადასხვა სახეობებში პირველობა ორი მეორეა და ერთი მესამე, მეორე კი — ორი მესამე ადგილი მოიპოვა.

„ლალოს“ კორ.

რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის პირად პირველობაში, რომელიც 19 იანვარს გაიმართება ფრუნზეში.

(საქინფორმი).

საპარტიო ახალი ჩეხიონი

(დასასრული)

ათურის „მადარტელის“ თავდამსხმელს ა. სევესტროპოლის მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩა. საუკეთესოთა შორის დაასახელეს ზახა კაციტაძე.

ჩემში ფეხბურთის აღორძინება ჩინურელოვანწილად განაზოგბდა შესანიშნავმა სპორტულმა პაზამ, საერთო პირობებმა და, რაც მთავარია, რაიონის მშრომელთა სპორ-

ტის ამ სახეობისადმი დიდმა სიყვარულმა და ხელმძღვანელთა დიდმა ყურადღებამ. ჩვენთან სპორტის ყველა სახეობა უყვართ, — თქვა გუნდის უფროსმა პაატა თათაროვილიმ, — მაგრამ ფეხბურთზე ჩვენთან დიდი თუ პატარა საოცრად შეყვარებულია. მართალია, ძველი პერიოდიც გვიწონდა, მაგრამ ადვილად ვერაფერს მოიპოვებ, ყოველი დამარცხებიდან სათანადო დასკვნებს ვაკეთებდით და დასახული ამ-

ოცანის წარმატებით გადაწყვეტაც შეეძლო. საქართველოს ჩემპიონობა ხობის გუნდისთვის მცირე რამ არ არის. ვხამ ამ წოდებამდე გრძელი და რთული იყო, მზადება ადრე გაზაფხულზე დაიწყეთ და სასურველ შედეგსაც მივალწიეთ. ჩვენს გუნდს მომავალშიც ახალი, რთული ამოცანები აქვს გადასაწყვეტი“.

ნუგზარ შახინია,
(„ლელო“ სპ. კორ.).

სტატისტიკა, სტატისტიკა...

● **თბილისის** „დინამოს“ ფეხბურთელებს ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდათ კიევის თანაკლუბებთან მატჩში — 66.230 კაცი, მაგრამ მოსკოვის „ტორპედოსთან“ შეხვედრაზე სულ 10 ათასი მაყურებელი მოვიდა. ჩვენი გამოანგარიშებით, საკავშირო ჩემპიონატების მატჩებში თბილისის „დინამოს“ ასე ცოტა მაყურებელი არ ჰყოლია „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციის შემდეგ.

● **51-ე** ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობა მიიღო 30 ფეხბურთელმა, რომელთაგან 6 დებიუტანტია. გუნდის ძირითად შემადგენლობაში გამოვიდნენ შემდეგი ფეხბურთელები: ო. გაბელია (29 მატჩი), ს. ჭელიძე (27), მ. არხიანი (27), ზ. სანაძე (26), ა. ცვიბაძე (24), გ. გურული 24, 9 გატანილი გოლი), მ. ფანცულაია (22, 1) თ. სულაქველიძე (20, 1), გ. კეტავილი (19), ზ. რევიშვილი (19, 2), გ. კვაია (18, 3), გ. გოგიანიშვილი (15, 4), კ. ცხადაძე (14, 1), თ. ქვიციანი (13), გ. ჯიშკარიანი (12, 3), გ. ტყეშელაშვილი (12, 1), ო. თეთრაძე (9), ო. კორღაიძე (8, 1), მ. მესხი (8),

ე. თევზაძე (7), მ. აფციური (6), რ. შენგელია (5,1), გ. თედგევი (5), ჯ. გუბაზი (4, 1), მ. ჯიშკარიანი (4), ს. თარბა (2), მ. თევზაძე (2), გ. ფირცხალავა (1), გ. კაველაშვილი (1), გ. პანტურია (1).

● **დავალწმადგენლობის** ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელები არიან ზ. რევიშვილი — 5 გატანილი ბურთი, გ. ჯიშკარიანი — 4, გ. თედგევი — 4, მ. თევზაძე — 4.

● **თბილისის** დინამოელებმა წლევიანდელ ჩემპიონატში ვერც ერთი გამარჯვება ვერ მოიპოვეს დიდი ანგარიშით.

● **ბანკილი** საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა პირველ ტაიმში 14 ბურთი გაიტანეს (11 შინ და 3 — სტუმრად) და მეორე ტაიმშიც — 14 (9 შინ და 5 — სტუმრად).

● **დინამოელთა** პირველ ტაიმში 16 ბურთი გაუშვეს, ხოლო მეორე ტაიმში — 21. მათ საშუალოდ ყოველ 96,4 წუთში გაიტანეს ბურთი, ხოლო თვითონ ყო-

ველ 72,9 წუთში ლეზულობდნენ გოლს. თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ დინამო 12 თერთმეტმეტრიანი, მათგან 7 შინ და 5 — სტუმრად, ხოლო „დინამოს“ კარში დინამო 6 პენალტი, მათგან 4 შინ და 2 — სტუმრად. 12 პენალტიდან 8 გაიტანა გურული და ერთი ვერ გამოიყენა, ხოლო კ. ვაგიზაიშვილმა სამივე 11-მეტრიანი ზუსტად დაარტყა.

● **დინამოელთა** სასარგებლოდ 11-მეტრიანები ასე დაინიშნა: 8 შემთხვევაში ანგარიში ფრე იყო, სამჯერ „დინამო“ აგებდა, ხოლო ერთხელ — იგებდა. თბილისელთა კარში 11-მეტრიანები დაინიშნა მამის, როცა ანგარიში ფრე იყო, ერთხელ, როცა „დინამო“ აგებდა და სამჯერ — როცა იგებდა.

● **12 პენალტიდან** 10 დაინიშნა დინამოელი ფეხბურთელების წინააღმდეგ უზემობისთვის, ხოლო ორ შემთხვევაში მეტოქეთა მცველებმა ხელით ითამაშეს.

მერაბ წარწახია,
ზუგდიდი.

დაზარალებულთა დასახარებლად

● **ოფისის** „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელები ამჟამად იტალიაში იმყოფებიან, სადაც ტრადიციულ ამხანაგურ შეხვედრებს მართავენ იტალიის ქალაქ გენუის ახვე სანელ-წოდების კლუბთან. გენუა ოფისის დამამბილებული ქალაქია.

როგორც საკდესი იუწყება, ოფისის „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს თავიანთი ერთ კვირის ხელფასი გადარიცხონ სომხეთში მიწისძვრისგან დაზარალებულთა დასახარებლად. გარდა ამისა, როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გ. პრკოპენკომ განაცხადა, „ჩერნომორეცის“ განზრახული აქვს შესთავაზოს იტალიელეთან მატჩების ორგანიზატორებს, რომ შემოსავლის ნაწილი აგრეთვე გადარიცხონ სომხეთში მიწისძვრისგან დაზარალებულთა ფონდში.

მოსკოვში

გაიმართა ფეხბურთის მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდენტის გადართებული სხდომა, სადაც შეაჯამეს წლეულს გაწეული მუშაობის შედეგები და დასახეს მონაგალი წლის ამოცანების მთავარი მიმართულებანი.

პრეზიდენტმა დამირიკო 1988 წლის სეზონის 10 საუკეთესო არბიტრი. ათეულში ანბანის მიხედვით შევიდნენ შემდეგი მსაჯები: ტ. ბეზუბაიკი (ლენინგრადი), გ. ბუტენკო (მოსკოვი), რ. ოუჟკა (ვილნიუსი), გ. კირილოვი (მოსკოვი), გ. ყუჟი (მოსკოვი), ა. სპირინი (მოსკოვი), გ. ფილოპოვი (მოსკოვი), გ. ჩეხოვეი (ორჯონიკიძე), ო. ჩინენოვი (მოსკოვი), ს. ჰუსინოვი (მოსკოვი).

განიხილეს, აგრეთვე, დარღვევათა საკითხებიც: ჩვენმა არბიტრებმა ა. ხობრაიკოვმა (იოშქარ-ოლა), რ. რაგიბოვმა (ბაქო) და ნ. თურგოვმა (ტომსკი) ამ შემოდგომით ფინეთში მსაჯეს უფავს თასის მატჩი ადგილობრივი „კუუსიუსისა“ და ბუქარესტის „დინამოს“ შორის. მათ დაარღვიეს საერთაშორისო ინსტრუქცია და თამაშის შემდეგ „სუჟენილის“ სახით გამოართვეს მასპინძლებს სამი ბურთი. გარდა ამისა, შინ გამოგზავრებმას სასტუმროს პარიდან წამოიღეს ალკოჰოლიური სასმელები ისე, რომ მათი საფასური

ფეხბურთის არბიტრთა თათბირი

არ გადაუხდიათ. ფინეთის ფეხბურთის ფედერაციამ სსრ კავშირის სპორტსაქობის მისამართზე ანგარიში გამოგზავნა ამ „სუჟენიების“ ასანაზღაურებლად.

მსაჯთა კოლეგიის პრეზიდენტმა ა. ხობრაიკოვს, რ. რაგიბოვსა და ნ. თურგოვს შეაერთო სასჯელები გამოუტანა, ფინეთში დააბრუნა ბურთები და ანაზღაურა ყველა სხვა ხარკი. სამივე მსაჯი გამოყვანილია იმ არბიტრთა სიდიდან, ვინც უცხოეთში უნდა მოემსახურათ საერთაშორისო მატჩებს და 1989 წლის საკავშირო ჩემპიონატის მატჩების საშუალოდ დაუშვეს მხოლოდ პირობითად.

მატჩების წინ სპორტული რეჟიმის დარღვევის გამო მინდორზე სამსაჯოდ გამოსვლა ვერ შეძლეს გ. ჟიტკუსმა (ვილნიუსი) და ი. სავჩენკომ (მოსკოვი). ფეხბურთის მსაჯთა მოსკოვის საქალაქო კოლეგიამ ი. სავჩენკო არ ჩართო ამ არბიტრთა სიაში, რომლებიც უნდა მოემსახურათ 1989 წლის საკავშირო შეჯიბრებებს, მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდენტმა ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმა. რაც შეეხება გ. ჟიტკუსს, იგი გადაყვანილია 1989 წლის ყველა საკავშირო შეჯიბრების მსაჯობიდან, მისი შემდგომი გამოყენება არბიტრად შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ 1990 წელს.

„კოლნიდან“

23 წლის ცენტრალური მცველი იურგენ კოდერი გადმოიყვანოს. როგორც გფრ-ის პრესა იუწყება, ნაკრების ლიბერო „ბაიერის“ 4 მილიონი მარკა დუჯდება.

● **შვეიცის** ჩემპიონატის განმეორებით ფინალურ მატჩში „მალმიოს“ თავდამსხმელმა მარტონ დლინმა „იურგორდენის“ კარში ოთხი გოლი გაიტანა, რაც იტალიის „ფორენტინას“ ხელმძღვანელებს არ გამოჩინათ. დალინი უკვე ამ კლუბში თამაშობს. შეეცდები კი წლის საუკეთესო ფეხბურთელად „ფიორენტინას“ მეორე შვეიდ მთამაშე, ეროვნული ნაკრების კაპიტანი გლენ პოსენი გამოაცხადეს.

● **რომლის** ცნობილია მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატი იტალიაში ჩატარდება. სხვადასხვა ქვეყნის გუნდები უკვე ემებენ იტალიაში შესადგურის პაზეებს. არგენტინელები, მაგალითად, „რომას“ სპორტულ ბანკში აპირებენ ცხოვრებას, გფრ-

მერაბ წარწახია

ზუგდიდი.

ის ნაკრები ალბათ ვერონასა და ულინეში ივარჯიშებს, ბრაზილია პალერმოში ან კალიარში, პოლონდელი ფეხბურთელებს სურთ მილანში ცხოვრება. ადგილობრივი ჟურნალისტებს მიანიხიათ, რომ იტალიის, როგორც ტურნირის მასპინძელს და არგენტინას, როგორც მსოფლიო ჩემპიონს, ასეთი არჩევანის უფლება აქვთ, დანარჩენმა გუნდებმა კი, პირველ რიგში, ფინალის საავსურების მოპოვებისთვის უნდა იბრძოლონ.

● **ჩვენს** პრესაში გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით გფრ-ის ეროვნული ნაკრების ფორმის და ქვეყნის 1988 წლის საუკეთესო ფეხბურთელი იურგენ კლენსმანი მადრიდის „რეალში“ აპირებს თამაშს. „ჩეჩესლოვანის“ სპორტის ინფორმაციით კი კლენსმანი მადრიდის მეორე კლუბში — „ატლეტიკოში“ გადავა. ასახელებენ თანხასაც, რომელსაც ფეხბურთელი მიიღებს — 6 მილიონ მარკას.

(სპა. იფ.)



„ნავიგატორი“

სამ ფრონტზე

რომლის ცნობილია, იტალიის „ნავიგატორი“ სურვილი გამოთქვა შინ ჩეტარენისა საკვლამოქმედო მატჩი თბილისის „დინამოსთან“, რომლის შემოსავალი მთლიანად გადაეცემა მიწისძვრისგან დაზარალებულ სომხეთის მოსახლეობას. სხვადასხვა მიწების გამო ეს მატჩი გადაიდო და, როგორც გამოცხადდა, საკითხი მოგვიანებით გადაწყდებოდა. მკითხველთა თხოვნით გთავაზობთ წერილს იტალიის ამ გუნდზე.

მსოფლიოს ერთ-ერთი უღამაზესი ქალაქი ნეაპოლი ვულკან ვეზუვისთან სულ ახლოს მდებარეობს, ასე რომ, თუ აქაურ მცხოვრებლებს საკუთარი თვლით არ უნახავთ სტიქიური უბედურება, ყოველ შემთხვევაში, ბევრი რამ სმენიათ მის შესახებ.

ნეაპოლი (ბერძნულად „ნეაპოლისი“ — „ახალი ქალაქი“) იტალიის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, რომელიც ბერძნებმა დააარსეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII-VI საუკუნეების ე. წ. „დოდი ბერძნული კოლონიზაციის“ დროს. კარგა ხანს აქ რომაელები ბატონობდნენ, შემდეგ — ბიზანტიელები. საუკუნეების განმავლობაში ორივე სიცილიის სამეფოს დედაქალაქი იყო. 1860 წელს კი ჯუზეპე გარბიალდის რევოლუციურმა არმიამ იგი გაერთიანებული იტალიის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა.

ნეაპოლი ამჟამად იტალიის ცნობილი კულტურული და ეკონომიკური ცენტრია, მასში გარეუბნეობანად ორ მილიონზე მეტი მცხოვრებია.

ნეაპოლელები სპორტის დიდი მოყვარულები არიან, რაც შეეხება ფეხბურთის კლუბ „ნავიგატორს“, იგი, თავისთავად, ცხადია, აქ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. „ნავიგატორი“ 1904 წელს დაარსდა. ერთხელ (1987 წელს), იტალიის ჩემპიონი იყო, სამჯერ (1962, 1976 და 1987) წლებში — თასის მფლობელი, 1966 წელს ალპების თასს დაეუფლა, 1977 წელს — ე. წ. ინგლის-იტალიის თასს, სიტეტატურად მონაწილეობს ევროპის სამივე პოპულარული თასის გათამაშებაში.

თამაშობს საკუთარ „სან-პაოლო ფურორეოტას“ სტადიონზე, რომელიც 88 ათას მაყურებელს იტევს. ამ სტადიონზე მოხვედრა დიდი პრობლემაა, ზოგჯერ სეზონში აქ 80 ათასამდე აბორენტები იყიდება ხოლმე. ნეაპოლელი გულშემატკივრები ისე მზურგაღელ უპირებ მხარს თავისიანებს, რომ იტალიის ნაკრების ხელმძღვანელობა ყველაზე საბასისმდგომო მატჩებს სწორედ ამ სტადიონზე ნიშნავს. თავისთავად ცხადია, რომ ნეაპოლის მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის მატჩებშიცაა დანიშნული. კლუბში სხვადასხვა პერიოდში გამოდიოდნენ გამოჩენილი იტალიელები და უცხოელი ოსტატები: ალტაფინი, ბანი, ბელუჯი, ბერტონი, დიარსეუ, ჟულიანო, კროლი, პესაოლა, საგოლი, ვინიჩო და სხვები.

„ნავიგატორი“ განსაკუთრებულ წარმატებებს მამინ მიადწია, როცა მის შემადგენლობაში „ბარსელონიდან“ ვაღმთავრა გამოჩენილი არგენტინელი ოსტატი დიეგო მარადონა. სწორედ მისი გადაწყვეტი წვლილით „ნავიგატორი“ თავისი არსებობის ისტორიაში პირველად იტალიის ჩემპიონი გახდა და თასიც მოიპოვა. რაც შეეხება შემდგომი, 1987-88 წლების ეროვნულ ჩემპიონატს, აქ პირდაპირ გაუგებარი ამბებია მოხდა: კარგა ხანს საქმე ისე მიდიოდა, რომ თითქოს „ნავიგატორი“ ჩემპიონობის შენარჩუნება არ უნდა გასჭირვებოდა. ყოველივე ამის შემდეგ უცნაური იყო ის ფაქტი, რომ გუნდმა ფინალზე ყველა შეხვედრა წააგო და ჩემპიონობაც, რომ იტყვიან, პირდაპირ „ჩააბარა“ უმთავრეს კონკურენტს „მილანს“. იტალიის პრესაში ამ საკითხზე დიდი მითქმა-მოთქმა იყო. ნუთითებდნენ განხეთქილებასზე „ნავიგატორის“ მწვრთნელ ოტავიო ბიანკისა და ფეხბურთელებს შორის. სეზონის დამთავრების შემდეგ მოთამაშეთა ერთმა ჯგუფმა მართლაც დატოვა კლუბი.

„ნავიგატორი“ ახალ სეზონში სამ ფრონტზე იბრძვის: იტალიის ჩემპიონობისთვის, იტალიის თასისა და უეფა-ს თასისთვის. როგორია მისი წარმატებები?

იტალიის თასზე გუნდს აქამდე შედარებით უმნიშვნელო ძალის მეტოქეებთან უხდებოდა შეხვედრა, რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, აქ საბოლოო მოულოდნელი შედეგებია. „მილანი“ თავისი ლიდერის,

ტრავერიზელის რეულ გულიტის გარეშე მეტად არათანაბრად თამაშობს და თუ ასე გააგრძელა, საკმაოდ მალე გამოთხოვდება თავის წოდებას; „ნავიგატორი“, პირქით, მეტად ძლიერად და თანაბრად მოქმედებს (17 ქულა 10 თამაშის შემდეგ, ბურთები 26-9). ის ფაქტი, რომ ასეთი მაღალი შედეგის მიუხედავად „ნავიგატორი“ მხოლოდ მეორე ადგილზეა, მილანის „ინტერის“ განსაკუთრებით ბრწყინვალე მიწვევებით უნდა აიხსნას. თვითონ განსაჯეთ: „ინტერს“ 18 ქულა აქვს (8 მოგება და 2 ფრე), ბურთების სხვაობა 17-4. ეს იტალიის ჩემპიონატისთვის სრულიად რეგულარული შედეგებია. რა თქმა უნდა, ჩემპიონატის ფინალამდე ვერ შორსაა, განვილია გზის მხოლოდ მესამედი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ოქროს მედლების ძიროთადი პრეტენდენტები სწორედ „ინტერი“ და „ნავიგატორი“ იქნებიან.

„ნავიგატორი“ წარმატებით განაგრძობს გზას უეფა-ს თასზეც. პირველ წრეში იგი სალონიკის პაოკს (საბერძნეთი) შეხვდა და ძნელი გამარჯვება მოიპოვა (1:0, 0:0). მეორე წრეში იტალიელებმა სლოვენს ლაიციცეს „ლოკომოტივის“ (1:1, 2:0), მესამეში — ბორდოს „ჟირონდის“ (საფრანგეთი) 1:0, 0:0 ამრიგად, „ნავიგატორი“ უეფა-ს თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მეტად ძლიერი მეტოქე ეყოლება — ტურინის „იუვენტუსი“, რომელსაც ამჟამად იტალიის ჩემპიონატში მესამე ადგილი უკავია.

ახლა კი ზრავს რომ „ნავიგატორი“ შემადგენლობის შესახებ. ზოგჯერ მას მარადონასა და პულსს 10 ფეხბურთელის გუნდს უწოდებენ, რაც იტალიელ ექსპერტებს სრულ გაუგებრობად მიანიხიათ. ეტყობა, უფრო სწორი არიან ის სპეციალისტები, ვინც იტალიის ვიცე-ჩემპიონს „ვარსკლავების გუნდს“ უწოდებს.

კარს იცავს საიმედოდ მოთამაშე ჯულიანი. დაცვაში სამი მოთამაშე: განაბირა მკველენი კორადინი, ფერა და ჩინებული ცენტრალური იტალია რენჯია. როცა რენჯია არ თამაშობს, ნეაპოლელთა აწყობილ მექანიზმში რაღაც ირღვევა.

შუა ხაზზე ხუთი ფეხბურთელი გამოდის: დე ნაპოლი, ფუსი, ფრანჩინი, გრამა და, რაც მთავარია, გუნდის სული და გული მარადონა. იგი ერთდროულად „ნავიგატორის“ გათამაშებელიც არის და ერთ-ერთი სნაიპერიც, რომლის ნეიტრალიზაციაზე ყველა მეტოქე სავანგებოდ ზრუნავს. მარადონას კონტრაქტი „ნავიგატორთან“ 1993 წლამდე ვაგბრდება, რის შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. როგორც მომომხილველები იუწყებიან, მარადონა ახლა ჩინებულ მხალფოფანშია და ცდილობს დაამტკიცოს, რომ მისი გუნდის ჩავარდა იტალიის 1987-88 წლების ჩემპიონატის ფინალზე შემთხვევითი ამბავი იყო.

წინა ხაზზე მოქმედებენ განთქმულია ბრაზილიელი ოსტატი კარეკა და კარნეგალი. კარეკა თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო სნაიპერია და კარგად იყენებს მარადონას გადაცემებს. მას შესანიშნავად უნდა მხარს ახალგაზრდა კარნეგალიც, რომელიც (ისევე, როგორც ფერარა და გრამა) სვეულს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა. როგორც კარეკას, ისე კარნეგალსაც იტალიის ჩემპიონატის №1 სნაიპერის წოდების მოპოვების პრეტენზია აქვთ. მას შემდეგ, რაც იტალიის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს მესამე უცხოელის გამოყენების უფლება მისცეს, „ნავიგატორი“ დაუყოვნებლივ შეიძინა ცნობილი ბრაზილიელი ნახევარმცველი ალენო. ერთი სიტყვით, „ნავიგატორი“, თუ შეიძლება ასე ითქვას, „უბრალო“ ფეხბურთელი არა ჰყავს, თითოეული მათგანი აუცილებლად რომელიმე ნაკრებში გამოდის.

გივი თორაძე.

„ბაიერის“ გადაწყვეტილი აქვს

საჭოთა ოლიმპიურ აკადემიაში

ამას წინათ გაიმართა სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პლენუმი, სადაც შეაჯამეს საბჭოთა სპორტსმენთა 1988 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე გამოხატვის შედეგები და დასჯეს მომავლის ღონისძიებანი. კერძოდ, პლენუმის დადგენილებაში აღინიშნა, რომ საჭიროა ოლიმპიური მოძრაობის მიზნებისა და ამოცანების გააქტიურება, მათი შემდგომი გან-

ვითარება ჩვენს ქვეყანაში, ოლიმპიზმის ისტორიის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლა, ამიტომაც რეკომენდებულია მოკავშირე რესპუბლიკებში შეიქმნას სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის კომისიები და რესპუბლიკური ოლიმპიური აკადემიები.

საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია საგანგებო დაწესებულებაა,

რომელიც შეისწავლის ოლიმპიური მოძრაობის თეორიისა და პრაქტიკის ძირითად იდეებს, პროპაგანდის უწყვეს მათ, ეს აკადემია 1961 წელს შეიქმნა ოლიმპიური კომიტეტის საბერძნეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია ყოველწლიურად აწვობს ერთკვირიან სესიებს, რომელთა პრო-

გრამაში შედის სპორტის ფილოსოფიისა და იდეოლოგიის პრობლემათა ლექციები და სემინარები, სპორტული წვრთნისა და ფიზიკური აღზრდის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები. ამ სესიებზე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები აგზავნიან ცნობილ მეცნიერებს, მწვრთნელებს, პედაგოგებს, ასპირანტებს, სტუდენტებს, სპორტსმენებს. ჩვენი ქვეყანა აღნიშნულ სესიებზე 1973 წლიდან აგზავნის თავის წარმომადგენლებს.

ორიპეჯარი ფრად

პალბარი. რიგის „ლინამოს“ პოკეისტები, რომლებიც ამხანაგურ პატრებს ატარებენ კანადა — აშშ-ს პროფესიონალურ კლუბებთან, აქ ხელს ჩემპიონატის ლიდერს „კალგარი ფლეიმს“ შეხვდნენ. უაღრესად მძაფრი და დამაბული ბრძოლა ფრედ — 2:2 დამთავრდა. ანგარიში კანადელმა ბერეზანმა

გახსნა, მაგრამ კერჩმა გაათანაბრა იგი. შემდეგ ლობომა ისევ დააწინაურა მასპინძლები, სმირნოვა კი საპასუხო შაბა გაიტანა: დამატებით ხუთ წუთში ანგარიში აღარ შეცვლილა.

საინტერესოა აღნიშნოს, რომ კანადამ სტიქურად მყოფმა ცსკა-მაც პირველი ორთაბრძოლა „კვეტეკ ნორდისთან“ ფრედ 5:5 დამთავრა.

პარსნი პირველივე ნაეუი

პარსნი. კალათბურთულ ვაჭთა სახალწლო ტურნირში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, ისრაელისა და ადგილობრივი გუნდები.

სასტარტო შეხვედრაში ფრანგებმა დაამარცხეს საბჭოთა სპორტსმენები — 93:92 (41:46). ჩვენს გუნდში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ: ხომიჩუ-

სი (28), ტარაჯანოვი (16), ტიხონენკო (15), ფრანგებიდან კი ოსტროვსკი — 27 ქულა.

ამავე დღეს ისრაელის ნაკრებმა იუგოსლავიის კოლექტივი დაამარცხა — 108:105 (55:43).

ამრიგად, ფინალში გავიდნენ საფრანგეთისა და ისრაელის გუნდები, საბჭოთა და იუგოსლავიელი კალათბურთელები მესამე ადგილისთვის ითამაშებენ.

დკაულაგირი-ჰიგალაის მონგლანი

(დასასრული)

ბარე ანაპურნასკენ გადაინაცვლეს და იერში ამ მწვერვალზე მიიტანეს. მრავალკვირიანი ბრძოლისა და თავდასწირვის შემდეგ მათ მიზანს მიაღწიეს, რაც ზოგიერთ მთამსვლელს ძვირად დაუჯდა — მათ მოყვრული ზღაფების თითები მოკვეთეს.

მაგრამ ეს დიდი გამარჯვება იყო! ანაპურნა აღმოჩნდა პირველი „რვა-ათასიანი“ მწვერვალი, რომელიც აღმოაჩინა და დაიკავა. ფრანგების გმირობა სენსაციის ტოლფასი გახლდა.

ახლა კვლავ დკაულაგირს დაკუმრუნდეთ.

ფრანგების შემდეგ დკაულაგირზე იერიშები მიიტანეს შვეიცარიის (1953 წ.), არგენტინის (1954), გფრ-ის (1955), ისევ არგენტინის (1956), შვეიცარიისა (1958) და ავსტრიის (1959) ექსპედიციებმა, ზოგჯერ მათი ექსპედიციები საერთაშორისო იყო.

რა თქმა უნდა, მწვერვალზე მოერიშეთა შორის, ტრადიციისამებრ, მუდამ იყვნენ სახელგანთქმული შერბი ალპინისტები, მაგრამ მთამსვლელთა მინიხს ეგრა და ვერ მიაღწიეს. რამდენჯერმე მათ, როგორც იტყვიან, მწვერვალამდე ერთი ხელის გაწვდენა დაიწყო. ზოგიერთი ექსპედიცია ტრაგიკულად და დამთავრდა. მაგალითად, 1956 წელს, როცა არგენტინის ექსპედიციას მწვერვალამდე 170 მეტრი დააკლდა, ქარბუქის გამო პირი იბრუნა და ცივი დამისთევაც მოუხდა. ექსპედიციის მეთაურს, ლეტენანტ ფრანსისკო იბანესს ფეხები მოეყინა. იგი დიდი გაჭირვებით ჩამოიყვანეს, კატმანდუს საავადმყოფოში დააწვეს, მაგრამ იქ საჭირო გახდა ქვედა კიდურების ამპუტაცია. სამწუხაროდ, ამან იბანესს ვეღარ უშველა. იგი დკაულაგირის პირველი მსხვერპლი გახდა.

გვიანსუნიოთ ავსტრიელთა ლამქრობაც, რომელიც კარგად დაიწყო, მაგრამ შემდეგ ჯგუფის ერთი წევრი პაინრიხ როსი დაახლოებით 5700 მეტრს სიმაღლეზე ნაპრაღში ჩავარდა და დაიღუპა.

და აი, გამარჯვების დროც მოვიდა.

1960 წელი. სხვადასხვა ქვეყნის

მთამსვლელები ჯამოლუნგმას (8848 მ), ჩოგორსა (8611 მ) და დკაულაგირს უტყვეს. ამ დროისათვის ყველა „რვაათასიანი“, დკაულაგირისა და შიშა პანგმას (8013 მ) გავრდა, დალაშქრულია. ამიტომ ყველაზე დიდი ინტერესით ცნობებს ელიან დკაულაგირიდან, სადაც შვეიცარიელთა მესამე ექსპედიცია ჯიუტად მიიწვეს ზემოთ.

მართალია, ექსპედიცია შვეიცარიისა იყო, მაგრამ ამ ქვეყნის მთამსვლელთა (ერნსტ ფორგერი, ეან-ჟაკ რუსი, ადინ შელბერგი, მიხელ ვოშე, ჰუგო ვებერი, ნორმან დირენფურტი) გარდა ჯგუფში შევიდნენ დსავლეთ გერმანიის (პეტერ დინერი), ავსტრიისა (კურტ დიმბერგერი) და პოლონეთის (ადამ სკოჩილასი და ირეი პაილუკევიჩი) მთამსვლელები, აგრეთვე შერბი ალპინისტებიც.

ამჯერად მათ ასევე ჩრდილოეთის მხრიდან სცადეს.

ექსპედიციამ, რომელსაც მაქს ეიხელინი ჩაუდგა სათავეში, გადაწყვიტა დიდ სიმაღლეზე ზარვის ასაზიდად ბატარა სატრანსპორტო თვითმფრინავი „პილატუს პორტერი“ გამოეყენებინა. თვითმფრინავს სახელად „იტი“ (თოვლის კაცი) დაარქვეს.

თვითმფრინავმა მთამსვლელებს დიდი სამსახური გაუწია. მისი წყალობით საჭირო აღარ იყო მებარგულთა დიდი ქარავანი. მფრინავებმა — შვეიცარიელებმა ერნსტ საკერჩმა და ემილ ვიკმა „იტი“ 20 მარტს პირველად დასვეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე 5700 მეტრამდე სიმაღლის ფირნის ველზე. ეს თვითმფრინავის დიდ სიმაღლეზე დასმის მსოფლიო რეკორდი იყო. 13 აპრილს „იტი“ იძულებითი დაჯდომა მოუხდა, რამაც იგი მწყობრიდან გამოეყვანა. თვითმფრინავის შეკეთება 4 მაისამდე გაგრძელდა. 5 მაისს იგი კვლავ ფირნის ველზე დაეშვა, იქიდან აფრენისას კი ავარიის მოუხდა და მწყობრიდან საბოლოოდ გამოვიდა.

ექსპედიციის წევრებმა კიდევ ბევრი ზიფათი და ფაქირვება გადაიტანეს. ბოლოს, 13 მაისს, 7800 მეტრ სიმაღლეზე მდებარე უკანასკნელი VI შანაკოდან გადაწყვიტეს იერიშზე გადავიდნენ. შელბერგი, დინერი, ფორგერი, დიმბერგერი, აგრეთვე შერბები ნიშა დორჯი და

ნავანგ დორჯი. ოთხი საათის შემდეგ, 12 საათსა და 30 წუთზე, ისინი უკვე მწვერვალზე იდგნენ.

მათი გამარჯვებით ყველა გახარებული იყო. ექსპედიციის მთიერიშე ჯგუფის დანარჩენი ექვსი წევრიც მოთმონდა ელოდა მწვერვალზე ასვლას, მაგრამ ეიხელინი ცივ უარზე იყო. იგი ფიქრობდა, რომ ექსპედიციამ უკვე დიდი გამარჯვება მოიპოვა და რაიმე შესაძლო ზიფათი ამ წარმატებას დაჩრდილავს. ბოლოს ეიხელინი დაიყოლიეს და გზას გაუდგნენ. მალე სკოჩილასი ეანგბადის ნაკლებობის გამო პალუცინაბეი დაუწყო და იძულებული გახდნენ იგი ორი შერბის თანხლებით უკან დაებრუნებინათ. მერე დარჩენილ მოხერხებულ სამ მთამსვლელს თავს ქარბუქი დაატყდა. გამოდარების მოლოდინში მათ სამი დამე VI შანაკში გაატარეს. ბოლოს საკვები გამოეღიათ, ვოშეს ფეხებიც მოეყინა და იძულებული გახდნენ V შანაკისკენ დაძროლიყვნენ. ჯზად, კუულარში, ბატარა ზედაე წამოეწიათ და ვებერი და რუსი თან გაიყოლა. როგორც მათ თვალს მამინ მოჰკრა, რთა ვებერდზე ჩაუჭროლეს. ვოშემ იყოჩადა — წერაყინის დატეობა და მასზე დამეი თოვის შემზვევა მოასწორო, რამაც მისი მეგობრები დააღუპავს გადაარჩინა.

23 მაისს გამოდარა და მთამსვლელები კვლავ ზემოთ დაიძინენ, ოღონდ რუსის გარეშე — მან მანამდე წერაყინი დაკარგა.

საღამო ხანს მათაც გადმოიხედეს დაპლაგირიდან.

აი, ასე დალაშქრეს პირველად პიმალასი „მონბლანი“.

ამის შემდეგ, მთელი 9 წლის მანძილზე, დაპლაგირზე ასევე აღარავის უტყდა, სანამ მისი დალაშქრა ამერიკელებმა არ განიზრახეს. მათ მწვერვალს შეუტრეს 4000 მეტრ სიმაღლეზე გამავალი სამხრეთ-აღმოსავლეთის ქედისა, რომელიც ექსპედიციის წევრებმა „თვითმსვლელთა მარშრუტი“ შეარქვეს.

მართალია, ექსპედიციის ხუთი წევრი, ხელმძღვანელ პიტერ ევერტთან ერთად, ზეგამა ჩაჩუქტა.

შემდეგ წელიწადს დაპლაგირზე პირველამსვლელთა მარშრუტით ავიდნენ იაპონელთა ექსპედიციის (ხელმძღვანელი ტოკუჟა ოტა)

წევრები ტეტუსი კავადა და შერბი ლხაბა თენსინგი.

1972 წელს დაპლაგირს კვლავ იაპონელები ესტუმრნენ, მაგრამ მხოლოდ 7600 მეტრამდე ააღწიეს.

1973 წელს ამ მწვერვალზე ეიროში მიიტანა ამერიკელთა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ჩეიმს მორისი). მათ 5760 მეტრ სიმაღლეზე მდებარე საზაზო ბანაკში ერთ ტონამდე ბარგი 16 თვითმფრინავიდან გადაიყარეს. მწვერვალს, ისევ ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან, მიაღწია ექსპედიციის ორმა წევრმა — ლუს რეიპარდმა და ნავანგ სონამ. ეს მესამე გამარჯვება იყო დაპლაგირზე.

1975 წელს იერიშზე კვლავ იაპონელთა ექსპედიცია გადავიდა, მაგრამ ჯგუფის ხუთი წევრი 6200 მეტრ სიმაღლეზე ზეგამი მოჰყვა და დაიღუპა.

ორი წლის მერე დაპლაგირზე მოერიშე თორმეტი იტალიელიდან ორმა მიაღწია მიზანს.

1975 წელს სახელგანთქმულმა იტალიელმა მთამსვლელმა რაინჰოლდ მენსერმა და მისმა მეწყვილემ პეტერ ჰაბელერმა ვიდებთან (გერმ) და კოვიენტონთან (აშშ) ერთად სცადეს ჟურთულესი, 4000-მეტრიანი სამხრეთის კედლით ასულიყვნენ მწვერვალზე. მათ მართლაც დაძლიეს კედლის 2000-მეტრიანი მონაკვეთი, მაგრამ შემდეგ უკან დაბრუნდნენ.

მოგვიანებით (1985 წელს) მენსერი მაინც ავიდა დაპლაგირზე.

ეს მწვერვალი სხვებმაც დალაშქრეს, მათ შორის ჩენოსლოვაკელებმაც (1984 წელს).

და აი, წლეულს დაპლაგირზე საერთაშორისო ექსპედიცია მოეწყო. მისი სამი წევრი — ჩენოსლოვაკიელი დემიანი, საბჭოთა ალპინისტები მოისევეი და ვალიევი — მწვერვალზე ეანგბადის ბალონების გარეშე ავიდა.

ვალიევი პიმალასი პირველი საბჭოთა ექსპედიციის მონაწილეა და დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ასვლის სინარულიც განუტოდა.

დაპლაგირზე ეს ექსპედიცია ჩენოსლოვაკიამ მოაწყო, მისი დაფინანსება იტალიამ იკისრა, საბჭოთა მხარე კი მთამსვლელთა აკლიმატიზაცია და სატრანსპორტო საშუალებები ითავა.

პატანდილ პურასაშვილი.




გარდაიცვალა სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, სკკპ წევრი 1945 წლიდან, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსახი ტრჯვის სროლაში ლეგონ ფანეს ძე ტერტერიანი.

ლ. ტერტერიანი საბჭოთა არმიის რიგებში დაინტერესდა ტრჯვის სროლით, მწვრთნელის პროფესიას დაეუფლა და მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერად იღვწოდა ჩვენი რესპუბლიკის მსროლელთა აღზრდისა და დაოსტატებისთვის. 1961 წელს ნაყოფიერი მუშაობისთვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. მისი აღზრდილები წარმატებულად აწვედნენ მნიშვნელოვან ტურნირებში. 1964 წელს, არმიიდან თადარიგში გასვლის შემდეგ ლ. ტერტერიანი სამწვრთნლო ასპარეზზეა.

ცნობილია ლ. ტერტერიანის, როგორც ავტორიტეტული, კვალიფიციური მსახის საქმიანობაც, იგი 1959 წლიდან ატარებდა საკავშირო კატეგორიის მსახის წოდებას, იწვევდნენ ყველაზე ავტორიტეტულ შეჯიბრებებზე, მათ შორის — რომის ოლიმპიურ თამაშებზე და მსოფლიო ჩემპიონატებზე.

ლევონ ტერტერიანის, დეაწლ-მოხილი მუშაკისა და გულმსმინიერი ადამიანის გარდაცვალება დიდი დანაკარგია მათთვის, ვისთანაც იგი ცხოვრების გზამ დააკვირდა.

ბჰვიის სროლის რასპუ-გლიკური ფადარსი. საპარტიველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მინისტრისა სპაპო.



მთავარი. პროფესიონალ პოკეისტა ჩემპიონატში ლიდერთა ცვლა მოხდა. „მონრეო კანადიანსმა“ თავის მოედანზე უმასპინძლა „ლოს-ანჯელს კინგსს“ და დაამარცხა იგი 3:2. მონრეოსის გუნდს 54 ქულა გაუხდა. მეორე ადგილზეა ძველი ლიდერი „კალგარი ფლეიმი“ — 53 ქულა. „კინგზი“ — 49 ქულით მესამე ადგილი ინარჩუნებს.

დავოსი. პოკეისტთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში (სუენგორის თასი) სხვა გუნდებთან ერთად მოსკოვის „კრილია სოვეტოვიც“ გამოსდის. მეორე ტურში ჩვენმა სპორტსმენებმა დაამარცხეს აშშ-ს კლუბი, რომელიც ევროპაში მცხოვრები ამერიკელებით არის დაკომპლექტებული — 8:4 (2:1, 3:2, 3:1). მეორე შეხვედრაში დაავოსელმა პოკეისტებმა აჭობეს ჩენოსლოვაკიის კლუბ გჰმეს (კოშოვიც) — 4:3 (1:1, 3:0, 0:2).

შტუტგარტი. გფრ-ის თასის გათამაშებაში ადგილობრივ კლუბებთან ერთად მოწვეული გუნდებიც ასპარეზობენ. მოსკოვის „სპარტაკმა“ სასტარტო შეხვედრა მოუგო შვეიცარიის გუნდს — 2:1. გფრ-ისა და პოლონეთის კოლექტივების ორთაბრძოლაში გამარჯვება მასპინძლებს ხვდათ — 5:1.

რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე.

ანკატაზი, ანკატაზი...

საკდესის ტრადიციული...

82 ქვეყნის 36 სააგენტო მონაწილეობდა საკდესის ტრადიციულ გამოკითხვაში, რომელიც წლის სამი სათუთესო სპორტსმენის გამოკვლენას ისახავდა მიზნად. ანკატის 20-წლიან ისტორიაში პირველად ქალებმა აჭობეს ვაჭებს. პირველი

ადგილი მიეკუთვნა ამერიკელ მძლეოსანს ფლორენს გრიფიტ-ჯოინერს, მეორე — მოცულობა კრისტინ ოტოს (გდრ), მესამე — ჩოგბურთულ შტეფი გრაფს (გფრ). მეოთხე ადგილზე გავიდა სერგეი ბუბუკა, მეხუთეზე — გარი კასპაროვი და ა. შ.

როგორ უხდინან პროფესიონალებს

ზაგრების ვაჭეთმა „სპორტკე ნოვოსტიმ“ გამოაქვეყნა ცნობა მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი ქალების მონორარის შესახებ. წელს ყველაზე მეტი — 1.346,878 დოლარი მიიღო მსოფლიოს უძლიერესმა ჩოგბურთელმა შტეფი გრაფმა (გფრ). აი, სხვების შემოსავალიც: 2. მარტინა ნავრატოლოვა (აშშ) — 848.282 დოლარი, 3.

გაბრიელა საბატინი (არგენტინა) — 600.649. 4. კრის ევერტი (აშშ) — 545.649. 5. პამ შრაივერი (აშშ) — 453.827. 6. ზინა ჰარისონი (შშ) — 334.525. 7. ნატალია ზვერევა (საბჭოთა კავშირი) — 311.854. 8. პეტონა სტუოვა (ჩენოსლოვაკია) — 310.567. 9. ლორი მაქეილი (აშშ) — 265.868. 10. კლაუდია კოლე-კილში (გფრ) — 199.322 დოლარი.

ჩანენი მისამართი:
წერილებსთვის — 280096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილებს განყოფილება — 93.97.56, სამდივნო — 92.97.52, ინფორმაციის განყოფილება — 93.97.58, „მერანი“ — 93.97.26, „პარტივი“ — 93.97.37.

33561 056431 68435

საქართველოს კტ ც-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 280096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ობიექტზე ოფსეტური წიხით სავაჭეთო კორპუსში: სოზარულას, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უფ 05671